ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ოქმი №6

2017 წლის 2 მარტი,

ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა 4

სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

საკონფერენციო დარბაზი

სხდომას უძღვებოდა: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი

სხდომის მოდერატორი: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს მდივნი ვალერი ლომუაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოში შემავალი შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „კონსტიტუციის 42–ე მუხლი“.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს 25 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი

1. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის მისასალმებელი სიტყვა;

2. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს მდივნის, შსს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის დირექტორის ვალერი ლომუაშვილის შესავალი სიტყვა;

3. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების პრეზენტაცია
   /პრეზენტატორი: სალომე ტყეშელაშვილი/

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომის მონაწილეებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

4. ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პრეზენტაცია
   /პრეზენტატორი: ლანა ცანავა/

   დნმ კოდის მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნა და მასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების პრეზენტაცია
   /პრეზენტატორი: ლანა ცანავა/

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის კანონებში შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პრეზენტაციის შემდეგ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს პროკურატურის წარმომადგენელმა ნიკოლოზ დგებუაძემ და

ასევე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გიორგი ტაბატაძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა განაცხადა, რომ კანონპროექტები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გადაეგზავნება დამატებითი შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის და წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს რიგით მეექვსე სხდომა შეაჯამა საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა ვალერი ლომუაშვილმა და სხდომაზე უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გადაეგზავნება.